ოქმი N14

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2015 წლის 10 ნოემბერი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. შოთა სირაძე
7. თენგიზ აბაკელია
8. ვასილ კუკავა
9. მალხაზ ლაგვილავა
10. ლევან ქავთარაძე
11. როსტევან გვარამია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგის გაცნობამდე ისაუბრა საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის თაობაზე და აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ახორციელებს მოხელეთა სწავლების საჭიროების იდენტიფიცირებას. მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევისა და სისტემატიზაციისათვის მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა არაუგვიანეს ყოველი წლის 10 ნოემბრისა უნდა გაიგზავნოს სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში და საჯარო სამსახურის ბიუროში. გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი რომელიც 9 ნოემბერს დღის მეორე ნახევარში იქნა წარმოდგენილი საკრებულოში, ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, ამ საკითხის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მცირეოდენი შესავლის შემდგომ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 9 ნოემბრის N03/1866 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 2015 წლის 9 ნოემბრის N03/1866 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე)

(მომხსენებელი: შ. სირაძე - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: შ. სირაძე - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად გამგეობის მიერ მომზადდა მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა, რომელიც წარმოადგენს მოხელეების სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზების ძირითად დოკუმენტს და რომელიც განსაზღვრავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მოხელეთა სწავლების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მოხელეთა რაოდენობას, აგრეთვე სწავლების ორგანიზების სხვა ძირითად საკითხებს. მუნიციპალიტეტი ახორციელებს მოხელეთა სწავლების საჭიროებების იდენტიფიცირებას; შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის წლიურ სასწავლო გეგმას; უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსის“ 101-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სახსრების გონივრულ განაწილებას შესაბამის მიმართულებებში მოხელეთა სწავლებისათვის და უზრუნველყოფს სწავლების მომსახურების შესყიდვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევისა და სისტემატიზაციისათვის მუნიციპალიტეტის წლიური სასწავლო გეგმა არაუგვიანეს ყოველი წლის 10 ნოემბრისა იგზავნება სსიპ – ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში და საჯარო სამსახურის ბიუროში. აღნიშნულის გათვალისწინებით ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა 2016 წლის სასწავლო გეგმა და შედგა ტრენინგ-საჭიროებათა განსაზღვრისთვის განკუთვნილი მონაცემთა ბაზები, რაზედაც მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების 2016 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

კენჭისყრის დასრულების სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ ყოფილი კინოს სახლის „თუთარჩელას“ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო პროექტისთვის აუცილებელი თანხის ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფის შესახებ, სადაც სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ განთავსებული იქნება სპორტის სხვადასხვა სახეობები. გამომსვლელმა ასევე ყურადღება გაამახვილა წინა ორ სხდომაზე გამოთქმულ შენიშვნასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო „საკოლმეურნეო ბაზრის“ წინა ხედის იერსახის

მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რომელიც ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული, რომელსაც გამგეობის შესაბამისმა სამსახურმა ყურადღება უნდა მიაქციოს

შ. სირაძე - გამომსვლელმა, როგორც ყულევის მაჟორიტარმა დეპუტატმა. ისაუბრა ყულევის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ გზის პრობლემებზე, განაცხადა, რომ გზა სრულად ამორტიზებულია და საჭიროებს გადაუდებლად შეკეთებას, ამასთან ისაუბრა ამ გზაზე მსხვილფეხა საქონლის გზაზე გაჩერებისა და მასზე ზედამხედველობის დაწესების თაობაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა